გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს გადაწყვეტილება

დოკუმენტი №518170

განაცხადი №AR1105113

თარიღი : 24.01.2013

განმცხადებელი: გიორგი გუგუნავა პ/ნ: 01033000108

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 3 ;

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: უარყოფა

- შენობის მანსარდა საჭიროებს გასადავებას, გაიზარდოს სახურავის დახრა.

კომისიის წევრი: უარყოფა

- მანსარდის სამერცხლულები უფრო სადა იყოს, უფრო მცირე ან იქნებ სულ მოიხსნას მანსარდა.

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- გასამარტივებელია მანსარდის სართულის არქიტექტურა.

კომისიის წევრი: უარყოფა

- გვერდითი ფასადი შეთანხმებულ პროექტში უკეთ იყო გადაწყვეტილი. შესასცვლელია მანსარდის სართულის

სახე სისადავის მხრივ.

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

განაცხადზე კომისიის/საბჭოს შეფასება "დადებითი"
კომისიის/საბჭოს ჩატარების თარიღი: 29.01.2013

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №530906

ნომერი: AR1105113

თარიღი : 24.01.2013

გაცემის თარიღი : 07.02.2013

გაცნობის თარიღი : 04.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 3 ;

თბილისი პლ.იოსელიანის ქ. N 37 ბ. 93

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გუგუნავა პ/ნ 01033000108

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო ტიპის შენობა-ნაგებობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი გუგუნავა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ინგოროყვას ქ. N3–ში მრავალფუნქციური კომპლექსის ესკიზის წინასწარ შეთანხმებას.

განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს - გაერთიანებულ სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს (ოქმი N4, 29.01.13 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით: "სასურველია გაიზარდოს სახურავის დახრა და გამარტივდეს მანსარდის სართულის არქიტექტურა".

ამასთანავე, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის საკითხი განიხილა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ (ოქმი N4, 30.01.13 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭიროა წარმოადგინოთ საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია და განაცხადი დაარეგისტრიროთ შესაბამის ნომენკლატურაში.

• სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.